

572 /
974/2

1974 035060 N6



1974 035060 N6

آب و هوا

გავხვავართ ამ ნახაგავით თქვენი თანა-
გოლები გილოცვავთ გავხვთა ღამვის სა-
ერთაგორიყო ღდას.



„მზე გვიცინის“—ნახ. თონა ქუთათელაძისა, 7 წ. თბილისი.



„მოგზაურობა ჰაერში“—ნახ. ღათო ღიპართიანისა, 6 წ. თბილისი.




„სკოლისაკენ“—ნახ. შიბა ცერცვაძისა, ქ. ქიათურა.



„შის მღინარე“—ნახ. ვარღენ სტურუასი, აბრაიონი, სოფ. პირველი შაისი.




„ნაფხული“—ნახ. თაშილა ღაფანაშვილისა, 7 წ. თბილისი.



„ნავი“—აღლიკაცია, ნახ. ხანღრო რამაზაშვილისა, 6 წ. თბილისი.



„გაზაფხული“—ნახ. ბესიკ ჩაღუნელიძე, 5 წ. თბილისი.




„მგელი“—ნახ. ნიკა კილაშვილი, 4 წ. თელავი.




ნახ. ლელა ხუნდაძე,
8 წ. თბილისი.



„ხვეტა“—ნახ. ირმა ჯოჯოხია, 4 წ.
იაროსლავის ოლქი, ქ. უგლინი.



„მეომარი“—ნახ. ჯამბულ ზებღანიძე,
6 წ. ახაშის რაიონი, სოფ. კორეული.



„ბევსური გოგონა“—
ნახ. გელა სვანიძე, 7 წ.
მხარაძის რაიონი, სოფ. ვა-
ციჯერის საშ. სკ. მოსწავლე.



„უვავილი“—ნახ. ირა ჩხეტიანი, 11 წ. მიაკოეცის რაიონი,
სოფ. ზედა დიმი.

ნანა

ფოთლად იანაიკოვლუ

მწვე, ნეტავ თბილი ქვეყნიდან
ჩიტები მოგაფანანა,
რომ ჩემს პატარა ბიჭუნას
ტკბილად უძღვრონ ნანინა.

ნეტავი ფარა ცსვრებისა
წვიმაში გაგაბანინა,
რათა სარების წკარუნით
ჩემს ბიჭს უძღვრონ ნანინა.

ნეტავ ეოველდღე სითბო და
საღისი მოგატანინა,
რათა გაუსარდლოთ შვილები,
რათა უუძღვროთ ნანინა.

თარგმნი ვახანგაშაძის

ნახატი გუსო ნილაგულია





როგორ გაღაპრჩინა მერაბმა ქათამი

ოთარ შუკრაძე

მერაბის დედამ ბაზრიდან ქათამი მოიყვანა. მერაბი სიხარულით ცას ეწია,—ქათამმა სოფელი და ბებია გაახსენა.

დედამ ქათამი სამზარეულოში მაგიდის ფეხზე გამოაბა. მერაბმა ბური დაუღობო, ლამბაქით წყალი დაუღვა.

— რად უნდა, ბიჭო, მაგას შენი საკმელი, უნდა დაეკლათ!

მერაბი შეწუხდა.

გახსენდა: ბებია კვერცხისმდებელ ქათამს არასდროს არ კლავდა.

„ჯუჯულამაც რომ დადოს კვერცხი?!“

„მაგრამ დადებს ჯუჯულა კვერცხს?!“

მერაბს ისიც მოაგონდა, რომ ბებია ქათამებს საბუღარში ყოველთვის უტრევენდა ერთ ცალ კვერცხს—მძევლად. დრო იხელთა, კარადიდან ერთი კვერცხი ჩუმად გამოიღო და ჯუჯულას დაუღო.

მერაბს ღამე მოუსვენრად ეძინა.

ღილით სამზარეულოდან დედის ხმა მოესმა:

ნახატები ელპარე ამბოქაძისა

— შეხე, ჩემო ოღლა,—ელაპარაკებოდა მეზობელს.—მე წიწილა მეგონა და კვერცხი არ დაუღვია!..

„ვაშა! ჯუჯულას კვერცხი დაუღვია!“— გაუხარდა მერაბს.

სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. შეცბა: მეორე, მძევალი კვერცხი არ ჩანდა... მიხვდა, რა კვერცხიც დაედო დედალს.

მერე ჩაფიქრდა და დედისკენ არც მიუხედია, ვითომ სხვათაშორის თქვა:

— კვერცხისმდებელ ქათამს ბებია არ კლავს!..

— მართალია, შევილო,—თავზე ხელი გადაუსვა დედამ,—მაშ, ნურც ჩვენს ჯუჯულას დაეკლავთ, ახალი კვერცხი მოგინდება!

მერაბს მაინცა და მაინც არ უყვარდა კვერცხი, მაგრამ ახლა უარს როგორ იტყოდა! მთავარი იყო, ჯუჯულა გადაერჩინა.

მაგრამ ქათამი თუ მერყე არ დადებდა კვერცხს, დაკლავდნენ. ამიტომ ყოველ საღა-



დედას ყოველ მეორე ღღეს მოჰქონდა ბაზრიდან კვერცი და მერაბიც ყოველ დღით ყლაპავდა თოხლო კვერცხს.

ერთ მშვენიერ ღღეს კი, შოი, საოცრებავ, ჯუჯულამ კისერი წაიგრძელა და დაიყვლა! მთელი სახლი შეიყარა:

— მამალი ყოფილა!—თქვა ერთმა.

— მეგრე კვერცხს როგორ დებდა!—თქვა მეორემ.

ბედად ყველაზე უფროსმა,—ელისაბედმა, დაარწმუნა ქალები:—დაყვილება ზოგჯერ დედამაც იცისო.

მერაბმა შევებით ამოისუნთქა. სალამოს ისევ დაუღრა კვერცი ჩუმად ქათამს.

და სწორედ მაშინ გატყდა კოკა წყალზე: დილით ჯუჯულას საბუღრიდან აღებულ კვერცხზე ნახეს მელნით დაბეჭდილი წარწერა „დიეტური“.

ქათამი ბეჭდიან კვერცხს ხომ არ დედებდა! თურმე, ამჯერად დედას მალაზიაში გყიდა კვერცი!

მერაბის ოინები გაიგეს და სიცილით გული იჯერეს. მერაბი კი იდგა მობუზული.

— შეილო, რაკი ჯუჯულას ვადასარჩენად ამდენი იზრუნე, ნუ დავკლავთ, ბებიას ვაფუგზავნოთ სოფელში!—დაამშვიდა დედამ.

მერაბის ვადარჩენილი ჯუჯულა, მართლა მამალო გამოდგა. ახლა სოფელშია, გაიზარდა, დეზები დაიმშვენა და, როგორც ამობენ, მთელ სოფელს ის აგებინებს გათენებას.

მოს, შეუმჩნევლად, თითო კვერცხს უდებდა.

რაკი ჯუჯულას დაკვლა ყოველდღე იქით-იქით იდებოდა, სულ სამზარეულოში ხომ არ ამყოფებდნენ!—აიღეს და, ზედა სართულზე ასასვლელი კიბის ქვეშ დააბინავეს.

გალიოდა ღღეები.

პლესანდრი პუშკინი

(1799—1837)

დაბადების 175 წლისთავი

დედამიწის ზურგზე ქვეყანა არაა, პუშკინის სახელი რომ არ იქოს ცნობილი!

დიდი რუსი პოეტი ბევრს წერდა ბავშვებისათვის: ვინ არ იცის მისი „ოქროს თევზი და მებადღური“.

პუშკინმა არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები დაწერა საქართველოში და საქართველოზე.

ქართულად პუშკინის პირველი მთარგმნელია ცნობილი მეცნიერი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846).

თეიმურაზ ბაგრატიონმა 1830 წელს. პუშკინის სიცოცხლეშივე თარგმნა მისი ლექსი „ანგელოზი“.

XIX ს-ში პუშკინის ლექსები თარგმნეს აგრეთვე სოლომონ რაჭმაძემ, ალექსანდრე ჰუვეაძემ და ილია ჰუვეაძემ. ჩვენს დროში პუშკინი ღირსეულად თარგმნა არა ერთმა ქართველმა საბჭოთა პოეტმა.



დალიბაში¹⁾

ნახატი ზურაბ ლეჟავასი

თოფის სროლა წამდაწამი
ისმის ჩვენს და შტრების ჯარში,
ახლო სერსე ჰქრის თამამი
და წითელი დელიბაში.

დელიბაში, ეგებ გკლავენ,
რომ ჯირითომ გაშლილ სერსე,
შეიცვადე შენი თავი,
ავეები შუბის წყურსე.

შენც კახაუო, გქონდეს ჰეუა,
მოარიდე მტერსა თვალი,
თორემ მალე გატეკვოს შუა
დელიბაშის ბასრი სმალი.

ჰქრისან... შესვდნენ... კარგად არ ჩანს
რომელია განმედავი.
დელიბაში შუბსე გარჩა.
ადარც კახაუც შერჩა თავი.

თარგმანი პაპლო იხავილისა

¹⁾ დელიბაში—თურქულად: თავზეხელაღებული, შემოილი, ე. წ. „დელის უფროსი“, „დელი.“—თურქეთის არმიის განსაკუთრებული ნაწილი—

მამაცთავან შემდგარი. „დელი“ ომში მავალითს აძლევდა სხვა ნაწილებს.

ველა და კუ

მარი პატარაძე

კუ მილადღეს ზურგზე კასრით,
ნელა, ნელა, ნელა,
— საით მივაქვს ეგ წუაღიო?—
წინ შემოსვდა შელა.

— როგორ? არ ცავიგიაო?
ხანმარია ტუუმი,
ჩახაქრობად არ იემაღებს
მგონი წვიმის თქემიტ.

— გუშინდღეზე შეუბნები?—
გაეცინა შელას,—
ის ხანმარი რახანია
სიამ ჩაუაქრეთ უფელამ!

ნახატი გიორგი რკინიხვილია





პირბენ შრაიბარში

გერმანელმა მოგზაურმა და მწერალმა ჰერმან ფრაიბერგმა მრავალი წელი გაატარა აფრიკაში—ზოოლოგიური პარკებისათვის ცხოველებს იჭერდა.

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ავტორი ცოცხლად და საინტერესოდ აგვიწერს თავის შთაბეჭდილებებს აფრიკის ბუნებაზე, მის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე, იქაურ მაცხოვრებლებზე და მათ ადამ-წესებზე.

ბორილუბის კვალზე

1. მკვდარ ჯაგნარში

ჯუნგლები ყველას გაინტერესებთ. ამ სიტყვის ხსენებაზე ალბათ სიმწვანეში ჩაფლული ტყე გიღდათ თვალწინ, მზით საესე და განათებული. სინამდვილეში კი ჯუნგლებში სრული სიბნელე მეფობს, იშვიათად თუ სადმე ატანს მზის სხივი უსიერ ტყეებში. ხეებს ხომ ნამდვილი ბრძოლა აქვთ სინათლისათ-

ვის. ხიდან ხეზე მწვანე თოკებით გადაჭიმულან ურიცხვი ღიანები, დაგუმბათებული ხეების ზემოთ ისინი ფოთლების მყარ და მაგარ სახურავს ქმნიან, ყველგან შეუვალნი მწვანე კედლები აღმართულან. არც ფრინველთა ტიკტიკი წაგტამთ ყურებს! მხოლოდ მწერებითაა მდიდარი უსიერი ჯუნგლი. უღ-

რანში ვეგლებიც იცის.

ასეთ ჯუნგლებში მოგზაურობაც მხვდა წილად,—გორილას პატარა ნაშიფერი უნდა ჩამეგდო ხელში. ეკვატორიალურ აფრიკაში—გიგანტური გორილების სამშობლოში ჩავედი.

ადგილობრივმა ზანგებმა, რომელთაც ეშვრებს ეძახდნენ, კარგად მიმიღეს. მაგრამ გაიგეს თუ არა, რისთვისაც ვიყავი ჩასული, არ ეპიტნავათ. დახმარებაზე ხომ ქვა ააგდეს და თავი უშუშვირეს,—თურმე რალაცნაირად გიგანტური გორილები მათ მეგობრებად ითვლებიან.


უიმათოდ რა შემეძლო! ჯუნგლების ასავალ-დასავალიც მათ იცოდნენ და გორილების ადგილ-სამყოფელიც. ბოლოს, როგორც იქნა, ტომის ბელადი დავითანხმე და გამყოლებიც აღმიტქვა. პირობა მინც დამადებინეს—გორილებისათვის არ უნდა მესროლა.

გამყოლებს შორის იყო ნანა—ექიმბაში, მალა, რომელიც დიდი დაჭოქილი მოლაპარაკე იყო და იმასაც კი მპირდებოდა,—გორილას ხელით დავიქვრო.

დილით გზას ვავუღეკით. ჩვენ მიზანი იყო, გავველწია „მკვლარ ჯანარამდე“—ასე ეძახდნენ ზანგები გიგანტური გორილების საცხოვრისს.

გზაში, ცოტა არ იყოს, კიდევ შევეფიქრიანიდი,—ასეთ ხშირნარში გაღწევაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

წალიკად მივდიოდით. წინ ნანა მიდიოდა თავისი უშველებელი დანით და გაბურღულ ტოტებს კაფავდა. ჩვენ ნაკაფში მივძვებოდით, ძალიან ნელა მივიწვედით წინ. სპი-



ლოგების უამრავი კვალი შეგვხვდა. გორი-
ლოგისა კი არც ასავალი ჩანდა, არც დასა-
ვალი.

გორილა დიდ ნახტომებს აკეთებს, ხიდან
ხეზე ცოცავს და ღონიერი ხელების წყალო-
ბით სხვებისთვის მიუღწევადი სიმაღლეების
გადალახვაც შეუძლია. თუ სპილოს ან კამე-
ჩის კვალი იპოვეთ, გეშვებ სიარული სულაც
ალარაა ძნელი. გორილას კვალზე გაყოლა
კი შეუძლებელია. თანაც, ახლა ისეთი ხმაუ-
რით მივდიოდით, რომ გორილას ყოველთ-
ვის შეგძლოა გაგვეცლოდა.

— ახლა სულ ახლოსა ვართ ენიუსთან! —
მითხრა ნანამ, — ხვალ დილით იხილავთ
ენიუს! — ენიუ მათ ენაზე გორილას ნიშნავს.
მოსალამოვდა.

მწერებმა შეგვაწუხა და ღამის გასათევად
კარავი გავშალეთ. თან ბეწვიანი ქვეშაგები,
გასაშლელი მაგიდა და მწერებისაგან თავდა-
საცავი ბადეც მქონდა. პატარა შხამიან გვე-
ლებს რომ არ დავეკბინეთ, მიწიდან ფოთ-
ლოები და ხავსი საგულდაგულოდ გადავწმინ-
დეთ და პეტროლოუმი მოვასხურეთ. დავწვიქი
და დამინება ვცადეთ.

ირგვლივ ღრმა ძილით ეძინათ ჩემს შავ
გამყოლებს. ენთო ცეცხლი. თითო შეიარა-
ღებული კაცი მონაცვლებით მორიგეობდა,
რათა, ყოველ შემთხვევისათვის, ხმაურით
მინც დაფრთხო ცნობისმოყვარე სპილოები.

ღამე წყნარი იყო. დიდხანს ვიწვიქი თვალ-
ლიად.

(გაგრძელება იქნება)

მელა და თხუნელა

ბაჰან სვანიძე

მელია: — მაც შიწაში, თხუნელაჯ,
ქძალები მტერნა?

თხუნელა: — არა, ნატყრის თქალს ვეძებ,
ვერ ვიპოვე ვერსად.

მელია: — მხეზე უფრო უკეთესს,
ნეტავ რას ინატრებ,
ამოდი და უტყირე,
ცუდს ანაფერს ვიპოვებ.

თხუნელა: — კარგი იყო, შედაგუდაჯ,
გეთქვა ცოტა ზღრუ,
აქ სინელეს მიუყვითე,
მანდ კი მხე ანათებს.

მელია: — ესდა აქაც დამე არის
და მძლიან ბნელა.

თხუნელა: — თუ აგრავ, შედაგუდა,
აქ ჩამოდი შენა.

მელია: — მანდ ჩამოსვლა რომ შექემლოს,
დაციმოკლებ ენას!



ოთარ ჭალიძე

ნახატები ზურაბ ძაპანაძისა

ალხანს და ჩალხანა

პოემა
(გაგრძელება)
თავი მეორე



იმ ორს მუდამ მოჰქონდა ცივი წყალი წყაროდან. განიკურნა დაჭრილი, ფეხზე მალე წამოდგა. მათი მოხვლა ჩემსავით ახარებდა ახლა მას, ფრონტულ ამბებს უთხრობდა ალხანას და ჩალხანას. როცა ზამთრის მწუხრისას სუფრას ვშლიდით ბუხართან, ორ მეგობარს სტუმრობა სწორედ მაშინ უეცვრდათ. ომგადახდილ მეგობარს მეც ბავშვივით ვუსმენდი: როგორ შემოიარა ფენით მთელი რუსეთი.

— რომელ ფრონტზე არ მოვხვდი, როგორ ცეცხლში არ ვიყავ, მაგრამ ერთ დღეს რაც ვნახე, ჟამმა ვერ დამავიწყა.— თქვა და ცრემლი მოადგა ჩემი ურმობის ამხანაგს, თან ალერსით გახედა ალხანას და ჩალხანას.

— ერთხელ ათასეულში ატყდა დიდი განგაში, თურმე მტერი ცდილობდა მოვექციეთ ალუაში. ერთ გადამწვარ სოფელში შედგა ჩვენი ნაწილი, ქობთან შემოგვეფეთა ცისფერთალა უმაწვრილი. ფეხშიშველა, მშინერი, მარტო იდგა უინფაში, ცახცახებდა ობოლი ჯარისკაცთა წინაშე. სამ დღეს არ ღირსებია არც საკმელი, არც ძილი,

ივანე სსოპრაპოვი

ნახტი ლამპა ლანლიასი



ბელამ და ადამ თითო-თითო ნერგი დარგეს. თავს ვეღებოდნენ,—ყოველ დღეა-სალამოს წყაღს უსხამდნენ.

გავიდა ერთი კვირა, ორი კვირა,—აღას დარგული ნერგი ჯერ გაიკვირტა, მერე გაიფოთდა; ბელას ნერგი კი ვახშა.

დალონა გოგონა.

— რა მოგივიდა, შვილო?—ჰკითხა დედამ, უგუნებობა რომ შეატყო.

— ნერგი გაუხშა, დეიკო, და იმას ჯავრობს!—დაასწრო ადამ.

დედამ გაიღიმა, თავზე ხელი გადაუსვა დადარიანებულ ბელას:


— აბა, შეხედე, შვილო! ნერგი ჩრდილში დაგირგავს. ხეს ზომ წყლის გარდა, მზეც უნდა! ხედა სხვა ნერგს მოვითან და მზისგულზე დარგე.

ბელამ დედას დაუჯერა. მისმა ნერგებზე გაიხარა და ახლა მწვანე ხასხასა ფოთლებითაა შემოღლილი.

თარგნა ლია მაქარაძე

დამწვარ მშობლებს გლოვობდა ცამეტი წლის ყმაწვილი. დავნაყრეთ, გავათბეთ, ტანსაცმელი ჩავაცვით, ჩვენს ნაწილში ჩავრიცხეთ, ვით უმცროსი ძმაცაყვი. ზურგში ვერ გავგზავნიდით, რადგან ცეცხლის ხაზიდან იყო შეუძლებელი საღად ტანის გაწიდევა. ჩვენგან გაყრა და წასვლა არც ყმაწვილმა ისურვა, მისმა ქცევამ მოგვხიზლა— დინჯმა, დარბაისლურმა. ზოგიერთი ასაკით რომ წესრულდეს ასოციის, ვერ ვაივლის, ვერ ნახავს მისგან ნანახ-გამოცდილს. კარგად მახსოვს, სახელად იმ ბიჭს ერქვა ტოლია, მამა თურმე ცნობილი მწარეული ჰყოლია. მწარეულის დამხმარედ

მივუჩინეთ ადგილი, გავვიკვირდა—რა მალე გავვიმზადა სადილი. მოვუწონეთ:—ყოფილხარ ჯადოქარი ნამდვილი... მერე ბევრჯერ გვაგემა ბლინები და წანდილი. მაგრამ სულ სხვა რამ იყო მისი გულის წადილი. — არ მოგაკლებთ საუზმეს და გემრიელ სადილსაც... ოღონდ ერთხელ მაღირსეთ ნახვა მთავარსარდლისა. გვთხოვდა დინჯი ყმაწვილი და არავინ იცოდა, გულში ნატვრად რა ენთო, რა განწარხავით იწვოდა. ბოლოს ერთმა მეზობელმა ჰკითხა:—ჩემო ბიძია, ჩვენ გავგანდე სათქმელი, შეველა ჩვენც შეგვიძლია. ომში აბა ვინაა ჯარისკაცის ბადალი,



მთავარი ღათეები



თეიმურაზ აბულაძე

სერსე მადის ორი ღათეა
 მხიარული მასწავლებელი.
 ტეკში ხდდაც ჩახეს თაველი—
 გემრიელი კერძი ღათვის.
 რა უხდობდა შეტი ღათებს
 და იმდენი ჭამეს... ღათურნეს.
 მადის ახლა ორი ღათეა
 დიდგვარო მასწავლებელი.
 ერთი აბობს:
 — მასწავლებელს
 ღათებს, მგონებ ზახეს მათხოვე.

ახა, ჩახე ეს ბებერი
 თუ მიწახე ან ვაფთარსია!—
 მეორემ თქვა:
 — ხა-ხა,
 ხა-ხა!
 დობობა ჩვენი შევე
 სულ მუხლებზე რამ ახა-ხა!
 ახე სერ-სერ,
 გარა-გარა,
 მიტრახახობს ორი ღათეა
 და სიცილით იკუდებს
 ჩირბილი შევს უკუდობათ.



მებრძოლების იმედით
 იბრძვის მთავარსარდალი.
 — არა!— ჰკადრა ყმაწვილმა,
 მამასწავლელთ, სად არის?..
 ახლა შეველა მკირდება
 მხოლოდ მთავარსარდალის.
 დამაპურეთ, შემოსეთ
 მშვიერი და შიშველი,
 ახლმა მხოლოდ ის ერთი
 დიდი კაცი მიშველის.
 ფეხით წავალ, თუ მასთან
 არ გამიშვებთ მანქანით!—
 თქვა და, აღარ გადათქვა
 სიტყვა ერთხელ ნათქვამი.
 — ნეტავ რატომ ეწოდა
 მთავარსარდალის ნახვა მას?
 რისთვის?— ერთხმად აღმოხდათ
 აღხანას და ჩაღხანას.
 — ალბათ, ის არ ითხოვდა
 არც გოზინაუს, არც ჰალვას,—
 მეზობელმა მიუგო
 აღხანას და ჩაღხანას,—
 ძილის დროა, შინ გასწით.
 საამბობი მაქვს ხვალაც.

(გაგრძელება იქნება)

გულქვათა ქალაქი

ნაწილი ხაჩაპურილი

ნახატები ვახანზე გულიანაშვილისა

იყო და არა იყო რა, ამ ბიჭზე ანცი და გაუგონარი კი არავინ იქნებოდა. ეს ჭინკა ბიჭი ერთ ბატარა, ლამაზ ქალაქში ცხოვრობდა.

დილით რომ გაიღვიძებდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა გაეფუჭებინა, ვინ აეტირებინა, რა გაეტეხა. კეთილი მეზობლები ჰყავდა ჭინკა ბიჭს, ჰკიცხავდნენ, ჰკუას არიგებდნენ, ავერავერ ჰქუა მოეცემა და გამოსწორდებო, ის კი უფრო და უფრო ბოროტდებოდა.

ფუნთუშის გამყიდველი მეზობლის ქალი ხომ მისი ცოდვით აღარ იყო: ებრალებოდა ჭინკა, ასეთი აუტანელი, ცელქი და ბოროტი რომ იყო და ყოველდღე ფუნთუშას და რძეს სთავაზობდა, ის კი ჰკრავდა ხელს, გადაყრიდა ყველაფერს და ყიჟინით გამოეკიდებოდა ხოლმე აწიოკებულ ბავშვებს.

მხოლოდ ერთი მეზობლის—თეთრწვერა მონხუცის ერიდებოდა ჭინკას. ეს თეთრწვერა მონხუცი ორივე თვალით უსინათლო იყო და თავს იმით ირჩენდა, რომ სტივრზე უკრავდა.

ერთხელ მონხუცმა უთხრა ჭინკას: ჰკუას უხმე, შვილო, სანამ დროა, თორემ მერე გვიან იქნებო... ერთი ქალაქი არსებობს, გულქვათა ქალაქს ეძახიან; იქ ადამიანებს ქვის გულები აქვთ და ძალიან ბოროტები არიან, ჰოდა, შენი საქციელით მობეზრებული ხალხი იქ გაგაქეცებსო. ცოდო ხარ, შვილო, იმ ქალაქში იმდენს იღარდებ და იტირებ, ჩემსავით თვალის ჩინი დაგეკარგებო.

ჭინკა არც კი ჩაფიქრებულა, იქ მიინდაო, იყვირა და, აღარ დაიშალა.

რა გაეწყობოდა, მონხუცმა ასწავლა გზა გულქვათა ქალაქისაკენ.

ჭინკა ბიჭი გზას დაადგა. გაიარა ტყეები, ლამაზი მინდვრები, აქოჩრილი მთები, გადაიარა მჩქეფარე მდინარე და უცებ აცივდა. მთის ძირას ნისლში გახვეული ქალაქი გამოჩნდა. აქ თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, სახლებიც, ხეებიც, ადამიანებიც, მაგრამ ყველას





ერთნიარად გაყინული მზერა და უმოძრაო სახეები ჰქონდათ, გეგონებოდათ, ნილაზი გაუკეთებიათ. ერთმანეთს არ უყურებდნენ, არ ელაპარაკებოდნენ. ხეებიც გამხმარიყვნენ და უფოთლო ტოტებს მწვანე, შხამიანი ფერი დასდებოდათ. ფანჯარა რომ ფანჯარაა, ისიც არსად ჩანდა ჩასამტვრევად. კატები იყვნენ, მაგრამ არ კნაოდნენ. ცოტა კი შეცბა ჭინკა, მაგრამ არ შეიმჩნია. გამოეკიდა კატას, მაგრამ დახეთი კატა არ გაიქცა. მხოლოდ ბრაზიანად და ცივად შეხედა ბიჭს. შეშინებულმა ჭინკამ კატას თავი გაანება და ოდნავ დაბნეულმა განაგრძო გზა.

უცერად პატარა გოგოს მოჰკრა თვალი. გექნა მისკენ, მაგრამ გოგო არც შემეკრთალა და არც გაქცეულა, ცივად, ბრიალა თვალებით შეხედა ჭინკას. ახლა კი მართლა გაოგნდა ჭინკა.

ღაღონდა. შიმშილმაც შეაწუსა, მაგრამ არც არავინ საჭმელს სთავაზობდა და არც ეკითხებოდნენ, მაძღარი ხარ თუ მშიერიო. ყველაფერი ჩაქეტილი, გაყინული და გაქვაგებული იყო. ხიდან ვაშლი მოწყვიტა და ისიც გაქვაგებული იყო.

დანაღვლიანდა ჭინკა ბიჭი. ადგა და, მეტი გზა რომ აღარ ჰქონდა, ერთ კარზე დააკაკუნა, როგორც იქნა, ვიღაცამ გამოიხედა. ჭინკამ შესაბრალოსად უთხრა,—მშაო, მაგრამ კარი ბრა-



ზიანად მიუკეტეს. ჭინკა ატირდა... თავის სი-
ცოცხლეში ბირველად ატირდა. სულ დაბალუბით
მოსდიოდა ცხარე ცრემლები. შინ დაბრუნებას
ნატრობდა,—რას ვერჩოდი იმ ხალხს, რა მინ-
დოდაო. მაგრამ აღარც გზა ახსოვდა და აღარც
კვალი. გადიოდა დრო. ჭინკა ბიჭი კი იჯდა გა-
ყინულ მდინარის პირას და ცხარე ცრემლებს
აფრქვევდა. ჭინკა ბიჭს, არც კი შეუმჩნევია, რომ
მისი ცრემლებისაგან მდინარის ერთი ნაპირი
გამდნარიყო და თბილი წყალი მდინარეს ზო-
ლად მიჰყვებოდა. ეს მდინარე კი მის მშობლიურ
ქალაქში ჩადიოდა. მცხოვრებლებს უკვირდათ,—
რა მოხდა გულქვათა ქალაქში, მდინარის ერთი
ნაპირი რამ გაათბო და გაალხოვო?!

ადგნენ და გაყინული მდინარის თბილ ნაპირს
გაჰყვებენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ დღით,
თვალი მოჰკრეს გულქვათა ქალაქის შორიახლო,—
მდინარის პირას მჯდომ ჭინკა ბიჭს, გულამოს-
კვნილი რომ ქვითინებდა. მდინარეს კი მისი ცხე-
ლი ცრემლებისაგან ოხშივარი ასდიოდა. ბიჭმა
რომ მეზობლები დაინახა, მის სიხარულს საზ-
ღვარი არა ჰქონდა, უკანმოუხედავად გაჰყვა მათ
შინისაკენ.

ფრინდი, ფრინდი

ნოზარ შამანაძე

ფრინდი, ფრინდი, თვითმფრინავო,
მოტორის ხმა გამაგონე.
ფრინდი, ფრინდი, თვითმფრინავო,
გაღუფრინე მთას და გორებს.
ჩიტზე უფრო გამაფრინე,
ქარზე უფრო გამაქრიდე,
მტკვარი უკან მოიტოვე,
ყვირილას პირს ჩამაყოდე.
იქ ბებბას სოფელია,
რა სოფელი და რა მხარე!
ფრინდი, ფრინდი, თვითმფრინავო,
გამაფრინე, გამახარე
და ბებბაც გაახარე.



ნახატი ვაჟა ლათბიაშვილისა



ტრაქტორისტი გიო

ლაპაპა შანშიაშვილი

ნახატი თამარ ჩიჩინაშვილისა

გაზაფხულის თბილი ღღე იდგა. გიო ეზოში თამაშობდა; ხის ყუთები ერთმანეთზე მიედგა და შიგ ჩამჯდარიყო.

— ღუგუ, ღუგუ, ღუგუ! ჩემი ტრაქტორია, მიწასა ვხნავ!

— ერთი ამ ტრაქტორისტს დამიხედეთ! — გამოეხმაურა ბებია მართა, — რა უნდა დათესო, შეილო, ნახნავში?

— ხორბალი, ბები, ხორბალი! ღუგუ, ღუგუ, ღუგუ!..

უცებ გიოს შორიდან ნამდვილი ტრაქტორის გუგუნის შემოესმა.

ყუთებიდან ამოძვრა, და გაიხედა; ქვემოთ — გაშლილ ველზე ტრაქტორი დაინახა.

— ეჰ, — ამოიოხრა გიომ და ყუთებს ფეხი ჰკრა, — მე ნამდვილი ტრაქტორი მინდა. — მიიხედ-მოიხედა, ეზოში არავინ ჩანდა, ბებია მართა წყაროზე წასულიყო, ვანო პაპა კი აივანზე წამოწოლილიყო და ყალიონს აბოლლებდა, — რაც იქნება, იქნება, გავიპარები და, ძია ტრაქტორისტს ვთხოვ, ტრაქტორზე დამსვას.

გიო ეზოდან უხმაუროდ გავიდა. იქვე ფერ-ღობს მიეფარა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. ირბინა, კარგა მანძილი ირბინა და, ბოლოს ტრიალ მინდორზე აღმოჩნდა.

— აგერ ტრაქტორიც, რას გუგუნებს! —

გიოს ჯერ შევეზინდა, მაგრამ მალევე მოეცა გული. ტრაქტორი დინჯად მისდევდა კვალს და ნოყიერი მიწის ბელტებს ერთმანეთზე აწყობდა.

- ძია! — დაუძახა ტრაქტორისტს გიომ. მოტორის გუგუნში ყურთასმენა აღარ იყო. გიო უფრო ახლო მივიდა. ტრაქტორისტმა ბიკი დაინახა და ტრაქტორი გააჩერა.
- ვინა ხარ, ბიკო?
- გიო ვარ! დამსვი, რა, ძია, ტრაქტორზე!
- გიო? ვისი ხარ?
- ქალაქელი ვარ, ბებია მართას და ვანო პაპას შვილიშვილი.
- ჩვენი ყოფილხარ. ბებიაშ და პაპაშ იციან, ამ სიწორზე რამ წამოხველ?
- არ იციან.
- გამოიპარე?

- არ გამომიშვებდნენ და, რა მქნა.
- რას დაეძებ ამ ნახნავეებში.
- დამსვი რა, ტრაქტორზე.
- გიომ ისეთი თვალებით შეხედა, ტრაქტორისტს გაეღიმა, რაღას იხამდა, ბიკი გვერდით მოიხეა და მოტორი ააგუგუნა.
- ვაშა, ვაშა! — გაიხარა გიომ, — ტრაქტორზე გზივარ, ტრაქტორისტი ვარ!.. როცა გავიზრდები, ნამდვილი ტრაქტორისტი გამოვალ!
- აბა, შენ იცი, — გუგუნში ხმამალა ებასუხებოდა ტრაქტორისტიც.
- ამასობაში დაღამდა კიდევც.
- დღეს გვეყოფა ტრაქტორით სეირნობა, — უთხრა ტრაქტორისტმა გიოს, მოტორი გამორთო, ჩვენი გიო მხარზე შეისვა და ტკბილის ბაასით გაუდგნენ გზას სოფლისკენ.

მეცხლეები

ილია არქსია

მინდორ-ველს შემოიფრენენ, — მათთვის ჩვეული სისხარტით, ბუღისთვის თივა, ტალახი მოაქვთ და მოაქვთ ნისკარტით.

სიხარულით და ჭიკჭიკით ცაში კამარას შეჰკრავენ. ააშენებენ ბუდეებს და ბარტყებს გამოჩეკავენ.

დაფრენენ ჟღერტულ-ჟღერტულით, იმათ გულეებშიც დარია. მე რომ მერცხლები მალხენენ, ისე თქვენ გაგიხარიათ.

ნახატი პლ. აპროქაძისა



კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა ბიბლიოთეკა


შთავარი რედაქტორი მ. მურხანაძე

საბრუნავი კოდეფი: ანაჟირი ბოგინაშვილი. ლეილა მარამა. მამაღლა მამაღლაშვილი, ჯიშხრა მუჭიანი. იორკი მამარამაძე (ა.შ.გ. მლივანი). შალვა სხარამა (სამხ. რედაქტორი). როზარტ ლარინაშვილი. ბიკი მინაძე.

საქ. კ. ც. ი. ბ. გამომცემლობა
Издательство
ЦК КИТ Грузии

შთამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამღიწისი — 93-98-16. გადევც. ასაწეობა 12/III-74 წ. ხელმოწერილია დახსენებლით 22/IV-74 წ., ქალაღის ზომა 60x90^{1/16} ფიხ. ნბ. ფურც. 25, ტოლი 159.700 შეფ. № 1000. „Дипа“ № 6. на грузинском языке. ფახი 20 კაბ

ბ.167/113



საქართველოს
სახელმწიფო



„მინდვარი“—ნახ. დავით გოგიაშვილისა, 9 წ. კაჭუთი.
„ქიქვა“—ნახ. სპეციალური—ნახ. კობა ქარლიშვილისა.
„ღვინა ტბაზე“—ნახ. ნინო კუციასი, 10 წ. აბაშა.
„სპეციალური“—ნახ. ხათუნა ჩიტიაშვილისა, 7 წ. თბილის.
„გოგონა მარათი“—ნახ. ხაილა კაკანაძისა, 7 წ. ქ. ტყემული.
„ამწე“—ნახ. გვა შილაკაძისა, 5 წ. თბილისი.



76055

